საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. ს. დ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: მ. ქ.; გ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.12.2022

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №112/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი№/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 22 დეკემბერს საჩივრით მომართა ს. ს. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ფ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: მ. ქ. და გ. ა. ესწრებოდნენ 2023 წლის 30 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც მხარი დაუჭირეს საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, 2018 წლის 25 იანვარს ირანის მოქალაქე ს. ს. დ.-ისა და შპს „ა. თ.“ - სს შორის გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება“, რომლის თანახმად, გამყიდველს მყიდველისთვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქ. თბილისში ასაშენებელ სასტუმროში სასტუმრო ნომერი/აპარტამენტი. ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობის დასრულება უნდა მომხდარიყო 2019 წლის დეკემბერის ბოლომდე. აღნიშნული უძრავი ქონების შესაძენად, ს. ს. დ.-მ ბანკისგან მიიღო იპოთეკური სესხი - 67 000 აშშ დოლარი. მომჩივანის წარმომადგენლების განმარტებით, 2018 წლის 25 იანვარს ირანის მოქალაქე ს. ს. დ.-ისა და შპს „ა.“-ს შორის გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება“, რომლის თანახმად, გამყიდველს მყიდველისთვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქ. ბათუმში ასაშენებელ სასტუმროში სასტუმროს ნომერი/აპარტამენტი. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად მშენებლობის დასრულება უნდა მომხდარიყო 2018 წლის მაისის ბოლომდე. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, დასახელებული უძრავი ქონების შესაძენად ს. ს. დ.-მ ბანკისგან მიიღო იპოთეკური სესხი - 60 000 აშშ დოლარი. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, ორივე ხელშეკრულების თანახმად, ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება და ნასყიდობის საგნების მყიდველისთვის საკუთრებაში გადაცემა უნდა მომხდარიყო სასტუმროების მშენებლობის დასრულების შემდეგ. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, შპს „ა. თ.“ და შპს „ა“ პარტნიორები არიან, ერთი ოფისი აქვთ, ერთი გაყიდვების მენეჯერი და ა.შ., თუმცა ორი სხვადასხვა სამშენებლო კომპანიაა.

1.3 მომჩივანის წარმომადგენლების განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოხდა მშენებლობების დასრულება და ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება დადგენილ ვადაში, მყიდველმა გადაწყვიტა მიეღო სამართლებრივი ზომები. ამისთვის დაუკავშირდა მისი ნდობით აღჭურვილ პირს - მ. ა. მ.-ს, რომელმაც სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა მის ნაცნობ ადვოკატს - ფ. კ.-ს. ამასთან, ფ. კ.-სთან უკვე თანამშრომლობდა ს. ს. დ.-ის მამა - ჰ. ს. დ.. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატსა და მ. ა. მ.-ს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება ს. ს. დ.-ისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე.

1.4 მომჩივანის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.-მ მ. ა. მ.-ის უთხრა, რომ ანაზღაურების გარეშე დაიწყებდა საქმეს, თუმცა სასამართლო ბაჟისთვის საჭირო იყო 4500 ლარის გადახდა. მ. ა. მ.-ის მიერ 1 500 ლარი გადაირიცხა ადვოკატ ფ. კ.-ს ანგარიშის ნომერზე, ხოლო 3 000 ლარი მან გადაიხადა ნაღდი ანგარიშსწორებით. ასევე, დამატებით გადაიხადა 650 – 650 ლარი, რომელიც ადვოკატის განმარტებით იყო აუდიტის საფასური. 2023 წლის 30 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ აღებული 4500 ლარი იყო არა მხოლოდ სასამართლო ბაჟისთვის განკუთვნილი თანხა, არამედ ასევე იყო ჰონორარის ნაწილი. ამასთან, ადვოკატმა სრულად დააბრუნა მის მიერ მიღებული თანხა და თანხის ნაწილში ადვოკატის მიმართ კლიენტს პრეტენზია არ აქვს.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატ ფ. კ.-ს ამ დროისთვის არ გააჩნდა ს. ს. დ.-ის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და არც არასდროს ჰქონია. მიუხედავად ამისა, ადვოკატი კლიენტს ეუბნებოდა, რომ მან

მიმართა სასამართლოს და ელოდებოდა პროცესს, ამავდროულად, აწარმოებდა მოლაპარაკებას შპს „ა. თ.“-სთან, არწმუნებდა კლიენტს, რომ მას აღარ უნდა გადაეხადა მომდევნო შენატანი, ვინაიდან კომპანია არღვევდა თავის ვალდებულებას და მყიდველი უფლებამოსილი იყო შეეწყვიტა შენატანების გადარიცხვა. მომჩივნის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატის განცხადებით, მოლაპარაკების პირობების თანახმად სამშენებლო კომპანია თანახმა იყო მყიდველის მიერ თბილისის აპარტამენტებისთვის გადახდილი თანხა გადაეტანა და დაემატებინა ბათუმის აპარტამენტებზე სრულად, ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისთვის დადგენილი ჯარიმის 15%-ის დაკლების გარეშე, თუმცა საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული მათ არ დაუდასტურათ შპს „ა. ჯ.“ - ს მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯერმა. იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ა. თ.“ და შპს „ა“ იყო ორი სხვადასხვა კომპანია, თბილისის აპარტამენტებისთვის გადახდილი თანხის გადატანა და ბათუმის აპარტამენტებზე დამატება იყო შეუძლებელი. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, ბანკის თანამშრომელმა დაადასტურა, რომ ბანკთან არ მიმდინარეობდა მოლაპარაკება.

1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, როდესაც მათ მარწმუნებელმა მიმართა, გაირკვა, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს სასამართლოსთვის სარჩელით არ მიუმართავს. მომჩივანის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.-მ მიმართა მხოლოდ აღსრულების ეროვნულ ბიუროს - 2021 წლის 5 აპრილს, დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით, სადაც აპლიკანტად მიუთითა ჰ. ს. დ. და განცხადებას დაურთო ჰ. ს. დ.-ის მინდობილობა. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების პოზიციით, არაკვალიფიციურად შედგენილი განცხადებისა და სააპლიკაციო საფასურის გადაუხდელობის გამო, აღნიშნულ განცხადებაზე დადგინდა ხარვეზი. აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურის მრჩეველი პირადად დაუკავშირდა ადვოკატ ფ. კ.-ს და განუმარტა ხარვეზის დადგენის მიზეზები. ამავდროულად, ადვოკატ ფ. კ.-ს აღსრულების ეროვნულ ბიუროს მხრიდან დამატებით გაეგზავნა შეტყობინება განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ. ადვოკატმა ჩაიბარა კორესპონდენცია, თუმცა არ აღმოუფხვრია ხარვეზი. 2022 წლის 4 მარტს, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ადვოკატს დაუბრუნა დავალიანების გადახდევინების შესახებ აპლიკაციაზე თანდართული დოკუმენტაცია, ვინაიდან ხარვეზის აღმოუფხვრელობის გამო განცხადება დარჩა განუხილველი.

1.7 საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, ბანკმა ვალდებულების დარღვევის გამო, რაც გამოიხატებოდა შენატანების გადახდის ვადის დარღვევაში, ს. ს. დ.-ის შეუწყვიტა ხელშეკრულება. შესაბამისად, მან დაკარგა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, ასევე ჩამოეჭრა ჯარიმისთვის დადგენილი 15%. მომჩივანის წარმომადგენლების განმარტებით, ამ ფაქტის შეტყობის შემდეგ, საჩივრის ავტორის ნდობით აღჭურვილი პირი - მ. ა. მ. დაუკავშირდა ადვოკატს და სთხოვა განმარტება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ადვოკატმა, მ. ა. მ.-ს დაუბრუნა მის მიერ ბაჟისთვის გადახდილი 4500 ლარი (ამასთან ერთად დაუბრუნა ჰ. ს. დ.-ის საქმეზე გადახდილი 1 800 აშშ დოლარი) და „დაბლოკა“. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატის ქმედების შედეგად კლიენტს მიადგა ზიანი, რადგან მან ვერ შეძლო კომპანიისგან ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის

ანაზღაურების მოთხოვნა, დაკარგა ბინა და ჯარიმის სახით დაქვითული 15%. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ადვოკატის დისციპლინირება.

2. საჩივრის ავტორის მოწმის მ. ა. მ.-ის ახსნა-განმარტება:

2.1 2023 წლის 6 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სტატუსით გამოიკითხა მ. ა. მ.. მოწმემ განმარტა, რომ ის წარმოადგენდა შუამავალს ს. და ჰ. ს. დ.-ებსა და ადვოკატს შორის. მოწმის განმარტებით, თავდაპირველად, შპს „ა. ჯ.“-თან დაკავშირებულ საქმეებზე ჰ. ს. დ. თავად აწარმოებდა მოლაპარაკებას, ხოლო მოგვიანებით, მისი დახმარებით, საქმეში ჩართო ადვოკატი ფ. კ.. ადვოკატმა განუმარტა, რომ საქმის წარმოებისათვის საჭირო იყო ბაჟის თანხა, რომელიც შეადგენდა 4500 ლარს. აღნიშნული თანხა ადვოკატს მიაწოდა ნაწილი ნაღდი ანგარიშსწორებით და ნაწილი ჩაურიცხა საბანკო ანგარიშზე.

2.2 მოწმის განმარტებით, მან ადვოკატ ფ. კ.-ს ჰკითხა, შეეძლო თუ არა ს. ს. დ.-ის სახელით ემოქმედა, რადგან აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად შემძენი იყო ს. ს. დ., რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ ვინაიდან ს. ს. დ.-ის მინდობილობა ჰქონდა ჰ. ს. დ.-ის, ხოლო მან თავის მხრივ, მინდობილობა გაუფორმა ადვოკატს, ის შეძლებდა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურება გაეწია ს. ს. დ.-ისთვისაც. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა ს. ს. დ.-ის მიერ ჰ. ს. დ.-ისთვის გაცემული მინდობილობის თანახმად, ჰ. ს. დ.-ის არ ჰქონია მინიჭებული გადანდობის უფლება. მოწმემ დამატებით განმარტა, რომ ადვოკატი ფ. კ. პირადად არასოდეს შეხვედრია თავად ს. ს. დ.-ს.

2.3 მოწმის განმარტებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ადვოკატმა აცნობა, რომ მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურს და გაუგზავნა შესაბამისი დოკუმენტაცია. ადვოკატმა განუმარტა, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროში საქმისწარმოების პარალელურად, მოლაპარაკებებს აწარმოებდა კომპანიასთანაც და არწმუნებდა მას, რომ კომპანიისთვის არაფერი გადაეხადათ და არც გადახდილი თანხის 15%-ს დაკარგავდნენ. მოწმის განმარტებით, მასაც ჰქონდა მინდობილობა ჰ. ს. დ.-ისგან, თუმცა ჰ. ს. დ.-ის მიერ მ. ა. მ.-ის მიმართ გაცემულ მინდობილობას ვადა გაუვიდა, რის გამოც იგი ვეღარ ამოწმებდა ინფორმაციას, ხოლო, მას შემდეგ რაც მან მიიღო ახალი მინდობილობა, მივიდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში და შეიტყო, რომ მოხდა დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების დახარვეზება. რის შემდეგაც ის დაუკავშირდა ადვოკატ ფ. კ.-ს და საყვედური განუცხადა, საუბრის დასრულების შემდეგ, ადვოკატმა გადაურიცხა 4500 ლარი (და ასევე სხვა საქმის 1 800 აშშ დოლარიც), რის შემდეგაც, ადვოკატმა ის „დაბლოკა“ და ვეღარ ახერხებდა მასთან კომუნიკაციას. მოწმემ ასევე განმარტა, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს გადაცემული ჰქონდა ასევე თანხა აუდიტის დასკვნისთვის, რომელიც არ დაუბრუნებია, ამასთან აღნიშნული დასკვნა მ. ა. მ.-ს არ გადასცემია.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2023 წლის 9 იანვარს ადვოკატ ფ. კ.-ს დისციპლინური საქმის მასალები გაეგზავნა ადვოკატთა ასოციაციის ერთიან ელ. ბაზაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე და განესაზღვრა წერილობითი პოზიციის წარმოდგენის ვადა. ადვოკატმა 2023 წლის 8 თებერვალს დააზუსტა ელ. ფოსტის მისამართი და ეთიკის კომისიის აპარატს სთხოვა მისთვის საქმის მასალების

დაზუსტებულ ელ. ფოსტაზე გაგზავნა. ადვოკატს საქმის მასალები გაეგზავნა მის მიერ დაზუსტებულ ელ ფოსტაზე და აპლიკაცია „Whatsapp”-ით. ადვოკატმა დაადასტურა საქმის მასალებისა და ინფორმაციის მიღება, მიუხედავად ამისა, ადვოკატ ფ. კ.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატ ფ. კ.-სთან ეთიკის კომისიის სხდომა რამდენჯერმე ჩაინიშნა: 2023 წლის 30 იანვარს; 6 თებერვალს და 13 თებერვალს. ადვოკატი არ გამოცხადდა 30 იანვრისა და 6 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომებზე, ამასთან, აპლიკაცია „Whatsapp”-ის საშუალებით იშუამდგომლა 13 თებერვლის სხდომის გადადებაზე. ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა კოლეგიის მიერ და სხდომა გადაიდო 2023 წლის 20 თებერვლისათვის. ადვოკატს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია საპროცესო კოლეგიის სხდომებზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ადვოკატი დაესწრო 2023 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც წარმოადგინა ზეპირი განმარტება საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატმა განმარტა, რომ ს. ს. დ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3.2 2023 წლის 20 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ფ. კ.-მ განმარტა, რომ ის სამართლებრივ კონსულტაციასა და დახმარებას უწევდა მ. ა. მ.-ს და სწორედ მისი საშუალებით დაუკავშირდა ჰ. ს. დ.-ს. ადვოკატის განმარტებით, ჰ. ს. დ.-მ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა შპს „ა. ჯ.“-თან და შეიძინა ორი უძრავი ქონება. უძრავი ქონება დაიტვირთა იპოთეკით და საჩივრის ავტორი თანხას ნაწილ-ნაწილ უხდიდა კრედიტორს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, შემძენმა ერთ-ერთი უძრავი ქონების მიმართ დაკარგა ინტერესი და შეწყვიტა თანხის გადახდა, თუმცა სურდა, რომ მის მიერ გადახდილი თანხა დამატებოდა მეორე უძრავი ქონების საფასურს. სწორედ აღნიშნულ სამართლებრივ დავაში წარმოადგენდა ადვოკატი ფ. კ. ჰ. ს. დ.-ის ინტერესებს და სამართლებრივ დახმარებას უწევდა მას, კერძოდ, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ორჯერ მიმართა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით; აპლიკაცია წარადგინა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურში; კლიენტის მითითების შესაბამისად ცდილობდა მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებას. ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ რაც გაეცნო საქმის მასალებს აღმოაჩინა, რომ მართალია უძრავი ნივთების საფასური გადაიხადა ჰ. ს. დ.-მ, თუმცა ხელშეკრულებაში შემძენად მითითებული იყო ს. ს. დ.. ამის შემდეგ, ის დაუკავშირდა მ. ა. მ.-ს და განუმარტა, რომ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, მას შეეძლო ს. ს.-თვისაც გაეწია საადვოკატო მომსახურება, თუ ის გაუფორმებდა მინდობილობას. ადვოკატმა განუმარტა მ. ა. მ.-ს, რომ თუ ის დაიწყებდა ს. ს. დ.-ის წარმომადგენლობას, საქმეზე შედეგს უფრო სწრაფად მიიღებდნენ. ადვოკატის განმარტებით, ს. ს. დ.-ს მისთვის მინდობილობა არ გაუფორმებია. შესაბამისად, ის მოკლებული იყო შესაძლებლობას მისი ინტერესები წარმოედგინა რომელიმე ორგანოში, მათ შორის სასამართლოსა და სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიურო“-ში. ადვოკატმა განმარტა, რომ მას პირადად კავშირი არ ჰქონია ს. ს. დ.-ისთან და არც კი იცნობს აღნიშნულ პიროვნებას.

II სამოტივაციო ნაწილი:

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ფ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

4.2 ს. ს. დ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 22 დეკემბერს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა 2023 წლის 30 იანვარს ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს სუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც საჩივრის ავტორის წარმომადგენლები ითხოვდნენ საპროცესო კოლეგიის მიერ მოწმის სტატუსით გამოკითხულიყო შპს „ა. ჯ.“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - მიხეილ ბენია. წარმომადგენლებმა დააზუსტეს, რომ შესაძლოა აღნიშნული შუამდგომლობა სამომავლოდ გაეხმოთ. წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათ ამ ეტაპზე არ შეეძლოთ მიხეილ ბენიას მოწმის სტატუსით წარმოდგენა ეთიკის კომისიის სხდომაზე და დააზუსტეს, რომ მიხეილ ბენიასთან წარმოებული მიმოწერა, სადაც წერილობითი ფორმით ასახული იყო მიხეილ ბენიას პოზიცია, ერთვოდა დისციპლინურ საქმეს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელთა განმარტებით, მოწმე წერილობით მიმოწერაში მითითებულ გარემოებებს დაადასტურებდა.

4.5 კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 17.1 მუხლით, რომლის მიხედვითაც „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“ და განმარტა, რომ მტკიცებულებების წარმოდგენა, მათ შორის, მოწმეთა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადება წარმოადგენს მხარეების ვალდებულებას. შესაბამისად, მოწმეთა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადება უნდა უზრუნველყოს თავად მოწმის მომწვევმა მხარემ. ამავდროულად, გადაწყვეტილების მიღებისას საპროცესო კოლეგიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მიხეილ ბენიასთან ელ. ფოსტის საშუალებით წარმოებული მიმოწერა და მიმოწერაში ასახული მიხეილ ბენიას პოზიცია ერთვოდა დისციპლინურ საქმეს და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

4.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა 2023 წლის 30 იანვარს ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს შუამდგომლობა ადვოკატ ფ. კ.-სა და მ. ა. მ.-ს შორის აპლიკაცია „Whatsapp“-ის საშუალებით წარმოებული კერძო საუბრის ჩანაწერის დისციპლინურ საქმეზე დართვის თაობაზე. საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა 2023 წლის 15 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს ადვოკატისა და მ. ა. მ.-ის პირადი საუბრის სამი ჩანაწერი.

საპროცესო კოლეგიამ აღნიშნული შუამდგომლობა განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული უფლების გათვალისწინებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები. აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია და დაცულია მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისგან. აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულია როგორც სადენიანი (მ.შ.

ოპტიკურბოჭკოვანი), ისე უსადენო (რადიოტალღებზე მომუშავე) ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემები. ამასთან, დაცვის სფეროში ხვდება მხოლოდ კონფიდენციალურად დამყარებული ურთიერთობა და არა იმგვარი კომუნიკაცია, რომელიც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროების საშუალებით მყარდება და პირთა განუსაზღვრელი წრისკენ არის მიმართული (კომუნიკაცია რადიოს და ტელევიზიის საშუალებით და სხვ.) (იხ. H. Krüger, M. Pagenkopf, Art. 10, in: M. Sachs (Hrsg.), Grundgesetz: Kommentar, München 2003, Rn. 14 f.; B. Pieroth, B. Schlink, Grundrechte: Staatsrecht II, 18., neubearb. Aufl., Heidelberg 2002, Rn. 773 f.).

„პირადი ცხოვრებით დაცულია პირების კერძო სფერო (სივრცე). აქ იგულისხმება როგორც კონკრეტული ტერიტორია, ადგილი, ისე განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობებისათვის, ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში გასაჯაროებაც სურს პირს. კერძო პირად სივრცეს ადამიანი თავად ქმნის და აქვს მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ შერჩეულ, სასურველ ან მისთვის საჭირო საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი, ანონიმური, ხელშეუხებელი დარჩება ყველა იმ პირისათვის რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N1/2/519).

შუამდგომლობის გადაწყვეტაზე მსჯელობისას საპროცესო კოლეგიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მხარემ წარმოადგინა მოპასუხე ადვოკატის კერძო საუბრის ჩანაწერი, რომელსაც არ ერთვოდა საუბრის ჩაწერაზე ადვოკატის თანხმობა. შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისია დაეყრდნო საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას, რომელიც ეხება კანონიერი გზით სატელეფონო საუბრის, როგორც მტკიცებულებების მოპოვებასა და სასამართლოში მათ გამოყენებას. „სატელეფონო საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩაწერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.(თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის №2ბ/6800-13 განჩინება). „ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა..... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გარემოების დასადგენად ფარული აუდიო-ჩანაწერი, როგორც კანონის

დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება იქნას გამოყენებული“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის №ას-1155-1101-2014 განჩინება).

საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სამი ჩანაწერი, სადაც მისი განმარტებით, ჩაწერილია ადვოკატისა და შუამავლის - მ. ა. მ.-ის საუბარი. საჩივრის ავტორის წარმომადგენლებს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენიათ ადვოკატის თანხმობა მეორე მხარის მიერ კერძო საუბრის ჩაწერის თაობაზე. ამავდროულად, ადვოკატმა ფ. კ.-მ დააზუსტა, რომ მას თანხმობა არ განუცხადებია პირადი საუბრის ჩაწერაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

5. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრითა და საჩივრის ავტორთა წარმომადგენლების მიერ საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 30 იანვრის სხდომაზე დაზუსტებული მოთხოვნის ფარგლებში.

6.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ფ. კ.-მ საჩივრის ავტორის ინტერესების დასაცავად არ განახორციელა საპროცესო მოქმედებები - არ მიმართა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში კლიენტის სახელით წარადგინა ხარვეზიანი აპლიკაცია, არ აწვდიდა კლიენტს სწორ ინფორმაციას საქმის მსვლელობაზე, რის გამოც კლიენტს მიადგა ფინანსური ზიანი.

6.3 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.4 „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N130/18).

6.5 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით და საქმის წარმოებისას კლიენტს დროულად მიაწოდოს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე სწორი ინფორმაცია კლიენტისთვის გასაგებ ენაზე მასთან წინასწარ შეთანხმებული წესით (ეთიკის კომისიის 2018 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N064/18).

6.6 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 30 იანვრის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს ევალებოდა კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში წარედგინა სარჩელი სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატი ზეპირად შეუთანხმდა კლიენტს საადვოკატო მომსახურებაზე, თუმცა არ მიაწოდა ინფორმაცია მინდობილობის გაფორმების აუცილებლობაზე. ამავდროულად, კლიენტს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას, რომ სასამართლოს მიმართა სარჩელით. ამასთან, ადვოკატმა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში წარადგინდა ხარვეზიანი აპლიკაცია. ადვოკატის ქმედებების შედეგად საჩივრის ავტორს მიადგა ფინანსური ზიანი. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პოზიციას არ დაეთანხმა ადვოკატი და განმარტა, რომ ის მინდობილობის საფუძველზე იცავდა მხოლოდ ჰ. ს. დ.-ის ინტერესებს, რაც შეეხება ს. ს. დ.-ის წარმომადგენლობას, მან მიაწოდა ინფორმაცია მ. ა. მ.-ს, რომ ს. ს. დ.-ის წარმომადგენლობას შეძლებდა იმ შემთხვევაში თუ ისიც გაუფორმებდა მინდობილობას, რაც ს. ს. დ.-ს არ გაუკეთებია.

6.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი ანგარიშვალდებულია კლიენტის წინაშე და ევალება იმოქმედოს კანონის დაცვითა და კლიენტის მითითების შესაბამისად, კლიენტისაგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რა დროსაც ადვოკატი ორიენტირებული უნდა იყოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. დასახელებულ შემთხვევაში, გარდა ახსნა-განმარტებისა საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება რაც დაადასტურებდა მასსა და ადვოკატ ფ. კ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობას. მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე, კოლეგიამ მიიღო ინფორმაცია, რომ ფ. კ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა ჰ. ს. დ.-ის, თუმცა საპროცესო კოლეგიას მოწმისგან იგივე ინფორმაცია არ მიუღია ს. ს. დ.-ის ინტერესების ადვოკატის მიერ წარმოდგენაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ადვოკატ ფ. კ.-სა და ს. ს. დ.-ის შორის ადვოკატ-კლინეტის ურთიერთობის არსებობა, კომისია

ვერ იმსჯელებს ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევაზე. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ დგინდება ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2 მუხლებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6 მუხლების დადგენა.

6.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 31–ე და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №112/22 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება

კოლეგიის თავმჯდომარე: /კოსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/